საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/95 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. კერატიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის №1/64 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში არის მოსამართლის 25 საშტატო ერთეული, ხოლო უფლებამოსილებას ამჟამად 18 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 18 მოსამართლის, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, გიორგი კერატიშვილის განაცხადი.

გიორგი კერატიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება. იგი უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ახორციელებდა. აღნიშნულ კოლეგიაში მუშაობის გათვალისწინებით, თვალსაჩინოა, რომ გ. კერატიშვილს შესწევს უნარი შეასრულოს დაკისრებული უფლებამოსილებები ნებისმიერი სირთულეებისა თუ დატვირთვის პირობებში. ამდენად, იგი შეძლებს წარმატებით განაგრძოს სამოსამართლო საქმიანობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გიორგი კერატიშვილი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე